



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვ ა ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
G E O R G I A
M U N I C I P A L I T Y C O U N C I L O F V A N I



წერილის ნომერი:პ/14740134
თარიღი: 28/12/2022

ადრესატი:

კობა მაღლაკელიძე
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს აპარატი-აპარატის უფროსი

ვ ა ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
რ ი გ გ ა რ ე შ ე ს ხ დ ო მ ი ს ო ქ მ ი
N 15

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 22.12.2022 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა
საკრებულოს თავმჯდომარე - ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, ბიჭიკო პაიკიძე, ლია დიასამიძე, სანდრო ხურციძე, ლანა გოგოძე, ილია დვალიშვილი, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ტარიელ ბარამიძე, თეონა ადეიშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, ლიზა ტყემელაშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრიგოლ მაჭარაძე, გელა ჩიკვაძე, გიორგი ტყემელაშვილი, მაკა ზარნაძე, თამარ მენგელია, თორნიკე ერისთავი, ალექსანდრე მუავანაძე, დავით კაკაბაძე, ნატო დვალი, კობა ძაგნიძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი -

ლუიზა ჯოგლიძე;

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში - **სალომე ფახურიძე;**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი - **დავით გაბუნია**;

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - **მიხეილ სვანაძე**;

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი- **ზვიად კაპანაძე**;

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - **მამუკა ნამიჭეიშვილი**;

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი - **ნარგიზი ალფაიძე**.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;

მომხს: **ივანე მამფორია**

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების ოდენობების დამოკიდებულების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხს: **გიორგი ივანიაძე**

3. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხს: **ივანე მამფორია**

4. „ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“;

მომხს: **მიხეილ სვანაძე**

5. „ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“;

მომხს: **ნარგიზი ალფაიძე**

6. „ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 აპრილის Nგ-65.65221034 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

7. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულში ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურში რეორგანიზაციის გამოცხადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხს: **ზვიად კაპანაძე**

8. „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, რუსთაველისა და თამარ მეფის ქუჩების კვეთაზე არსებული ერთი ერთეული გარე განათების ბოძის შპს „მაგთიკომი“- სთვის იჯარის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლოთ, პირობით, 2 წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

მომხს: **ზვიად კაპანაძე**

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 20

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების „ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა დიდი უმრავლესობა იმ შენიშვნებისა, რაც წარმოადგინეს საკრებულოს კომისიებმა და ფრაქციებმა და ბიუჯეტის პროექტის შეთანხმებული ვარიანტი გამოტანილია დასამტკიცებლად.

2023 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 9347,8 ათას ლარს შეადგენს. 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2023 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 1072,8 ათასი ლარით (12,9%-ით).

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 8997,8 ათასი ლარით; 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 13,5%-ით (1072,8 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით; ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 350,0 ათას ლარს; 2022 წლის გეგმიური მაჩვენებელიც ანალოგიურია.

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 260,0 ათასი ლარამდე სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 57,5%-ით (95,0 ათასი ლარით) იზრდება.

შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 1042,2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: პროცენტები 50,0 ათასი ლარი, რენტა 992,2 ათასი ლარი;

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან

განსაზღვრულია 50,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: სანებართვო მოსაკრებლები 5,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 25,0 ათასი ლარი; შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან 20 ათასი ლარი;

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 50,0 ათასი ლარის ოდენობით.

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 50,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 50,0 ათასი ლარი;

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 200,0 ათას ლარს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 11300,0 ათას ლარს, პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება - 585,0 ათასი ლარი

განის მუნიციპალიტეტის საქმიანობის უმთავრეს პრიორიტეტს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება წარმოადგენს. ბოლო წლების განმავლობაშიც, სწორედ ამ სფეროს დაფინანსებაზე მოდის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის უდიდესი წილი. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება და მომდევნო წლებშიც გაგრძელდება: საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; სკვერების და ბილიკების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; სოფლის მხარდაჭერის პროგრამა; სამოქალაქო ბიუჯეტი;

დასუფთავება - 725,0 ათასი ლარი

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავების და ნარჩენების გატანის, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა.

განათლება - 2500,0 ათასი ლარი

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით

უზრუნველყოფა. ასევე, მუნიციპალიტეტი, განათლების სამინისტროსთან გაფორმებული დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელებს საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისა და სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 1986,0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 993,0 ათასი ლარი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა -76,0 ათასი ლარი.

ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის განსახორციელებელი პროექტები მიზნად ისახავს ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირებას და პოპულარიზაციას, მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლებას, ტურისტული ლოკაციების შესახებ ცნობადობის ამაღლებას და პოპულარიზაციას.

მმართველობა - 4435,0 ათასი ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 20

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;

მოისმინეს :

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიშვიმ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად, საჯარო სამსახურებში დასაქმებულ პირებს გაეზარდათ ხელფასი 10 პროცენტით. ეს ცვლილებები აისახა საკრებულოში დასაქმებული პირების ხელფასებზე, რამაც გამოიწვია ცვლილება 2021 წლის N25 დადგენილებაში და წარმოადგინა ახალი დადგენილების პროექტი

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 20

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

დადგენილება N 28**მოისმინეს:**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

ამ შემთხვევაშიც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საჯარო სამსახურებში დასაქმებულ პირებს გაეზარდათ ხელფასი 10 პროცენტით. ეს ცვლილებები აისახა მერიაში დასაქმებულ პირების ხელფასებზე, რამაც გამოიწვია ცვლილება 2017 წლის N40 დადგენილებაში და წარმოადგინა ახალი დადგენილების პროექტი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 20

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა

საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

დადგენილება N 29

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2023 წლის სოციალური პროგრამები დეტალურად იქნა განხილული უმრავლესობისა თუ შესაბამისი კომისიის სხდომებზე, გათვალისწინებულ იქნა მათი შენიშვნები და ამჟამად დასამტკიცებლად წარმოდგენილია შეთანხმებული ვარიანტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წინა წლის მსგავსად წარმოადგენილია 15 სოციალური პროგრამა და ყურადღება გაამახვილა მხოლოდ 2023 წლისთვის შეტანილ სიახლეებსა და ცვლილებებზე. კერძოდ: „ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამაში“ და „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამაში“ 20 %-იანი დანამატი მოეხსნათ სოციალურად დაუცველ ოჯახებს; „მარჩენალდაკარგულ პირთა დახმარების პროგრამაში“ მოსარგებლე პირებს, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული ჰქონდათ 120 000-მდე ქულა მარჩენალდაკარგულებისთვის გასაწევი ფინანსური დახმარება იქნება 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

„სამედიცინო დახმარების პროგრამაში“ წარმოსადგენ დოკუმენტებს დაემატა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ცნობა პირის ბოლო 90 დღის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად ცხოვრების შესახებ, თუ აღნიშნული პროგრამით აქამდე სარგებლობდა 70 წელზე უფროსი ასაკის მოქალაქეები, ცვლილების მიხედვით ასაკობრივმა ზღვარმა დაიწია და ისარგებლებენ 65 წელზე უფროსი ასაკის მოქალაქეები.

აღნიშნულ პროგრამაში მეხუთე კატეგორიის მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების ოდენობა შეადგენდა არაუმეტეს 500 (ხუთას) ლარს, შენიშვნების გათვალისწინებით ცვლილების მიხედვით აღნიშნული თანხა შეადგენს 400 (ოთხასი) ლარს და თუ ამ კატეგორიის მოქალაქეები პროგრამით სარგებლობდნენ წელიწადში ერთხელ და მათვით პროგრამა არ ითვალისწინებდა 200 (ორას) ლარზე ნაკლები ღირებულების სამედიცინო მომსახურების თანხის დაფინანსებას, ეს თანხა ცვლილების მიხედვით შეადგენს 250 (ორასორმოცდაათი) ლარს.

ანგარიშწორების წესი დავაკონკრეტეთ. კერძოდ: მე-9 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

ა) სამკურნალო და საოპერაციო დაფინანსება/ თანადაფინანსების დროს ვანის მუნიციპალიტეტის მერია ბენეფიციარზე გასცემს ადმინისტრაციულ დაპირებას სამედიცინო დაწესებულებაში წარსადგენად;

ბ) დაფინანსება/ თანადაფინანსების თანხის გადარიცხვისთვის სამედიცინო დაწესებულებებამ შესრულებული სამუშაო უნდა წარმოადგინოს სამედიცინო ჩარევის დასრულებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

გ) ანგარიშსწორება განხორციელდება უშუალოდ სამედიცინო დაწესებულებებზე, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ.

„ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარების პროგრამაში“ დახმარების მიმღებთა პირებს დაემატათ: დიპლევგიით, ჰემიპლევგიით, პარაპლევგიით, ტრიპლევგიით, ტეტრაპლევგიით, კვადრიპლევგიით, კუნთების ატროპიითა და კიდურების პარეზით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა ყოველთვიური დახმარება განისაზღვრა 100 (ასი) ლარის ოდენობით, ასევე მხედველობის გამო მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და 18 წლამდე ასაკის პირები - 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

აღნიშნული პირებისათვის დახმარების მიღების აუცილებელ პირობა თუ აქამდე ითვალისწინებდა დაფინანსების მოთხოვნამდე ბოლო 180 (ასოთხმოცი) დღის განმავლობაში და პროგრამით სარგებლობის მთელი პერიოდის მანძილზე უწყვეტად იყოს რეგისტრირებული და ფაქტობრივად ვანის მუნიციპალიტეტში ცხოვრებას, ცვლილების მიხედვით ეს ვადა განახევრდა და მოიცავს 90 (ოთხმოცდაათი) დღეს.

ასევე ცვლილების მიხედვით, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულებმა წარმოსადგენ დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარმოადგინონ განცხადებასთან ერთად ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან დიალიზის პროცედურების ჩატარების შესახებ უნდა წარმოადგინონ ყოველთვიურად;

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების პროგრამაში“ დაემატა მეტყველების პრობლემის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვების სარეაბილიტაციო სეანსების დაფინანსება, რომელიც მოხდება სამედიცინო დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. პროგრამაში ჩასართავად შშმ ბავშვის მშობელმა (მეურვემ) უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

„ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამაში“ ბინის ქირის ოდენობა გაიზრდება ქ. ვანის ტერიტორიაზე 150 (ასოთხმოცი) ლარამდე და შუამთის, ზეინდრის და დიხაშხოს ტერიტორიაზე არუმეტეს 120 (ასოცი) ლარამდე თვეში;

წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილებს პროექტს:

მომხრე – 20

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“;

დადგენილება N 30

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“; მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება შევიდა დადგენილების მეოთხე და მეექვსე მუხლებში და წარმოადგინა ეს ცვლილებები:

მუხლი 4 პროგრამის ბენეფიციარები

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სოციალური მუშაკის შეფასების საფუძველზე გამოკვეთილი ქვემოთ ჩამოთვლილი ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც არიან სოციალური საფრთხის წინაშე და დაუდგათ მწვავე კრიზისული მდგომარეობა:

- ა) ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი ბავშვი;
- ბ) მიტოვების რისკის მქონე ბავშვიანი ოჯახები;
- გ) ოჯახები, რომელთაც ჰყავთ შშმ ბავშვი/ბავშვები;
- დ) ობოლი ბავშვები;
- ე) ის ბავშვები, რომელთაც ჰყავთ შშმ მშობლები;
- ვ) ბავშვები, რომლებიც არიან ძალადობის მსხვერპლი/ჰყავთ ძალადობის მსხვერპლი მშობელი;
- ზ) ბავშვები, რომელთა ჯანმრთელობა გაუარესდა და მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება;
- თ) უკიდურესად ღარიბი ბავშვიანი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა 30000-ს ქვემოთაა;
- ი) სხვა სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვიანი ოჯახები.

მუხლი 6. დახმარების ოდენობა

წლის განმავლობაში დახმარების ოდენობა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვიან ოჯახებზე განისაზღვრება ოჯახში ბავშვთა რაოდენობის მიხედვით, შემდეგი ოდენობით:

- ა) ერთბავშვიან ოჯახზე - არაუმეტეს 700 (შვიდასი) ლარი;
- ბ) ორბავშვიან ოჯახზე - არაუმეტეს 1200 (ათასორასი) ლარი;
- გ) სამბავშვიან ოჯახზე - არაუმეტეს 1500 (ათასხუთასი) ლარი;
- დ) ოთხ და მეტ ბავშვიან ოჯახზე - არაუმეტეს 2000 (ორიათასი) ლარი.

აზრი გამოთქვა დავით ხარძეიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მე-4 მუხლის ა) ქვეპუნქტი ზედმეტია და გაორებულია სხვა სოციალურ პროგრამაშიც. მომხსენებელი დათანხმდა საკრებულოს წევრის მიერ შემოთავაზებულ ვარიანტს. სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 20

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 აპრილის Nგ-65.65221034 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სოფლებში: სულორი და იმერუხუთის, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის ჩართულობით შერჩეული და 2022 წელს განსახორციელებელ პროექტებში საჭირო გახდა შეტანილიყო ცვლილებები, კერძოდ:

1) სოფ. სულორში 2022 წლის სოფლის პროგრამით შერჩეული პროექტის „სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა“-ზე გამოყოფილ თანხას 16000 ლარს 5116 ლარით გადააჭარბა შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებამ. გამომდინარე აღნიშნულიდან პროექტის სრულყოფისათვის აუცილებელი გახდა 5116 ლარის დამატება.

2) სოფ. იმერუხუთის 2022 წლის სოფლის პროგრამით შერჩეული პროექტი „წყალსადენის მოწყობა (ჯისიბით)“ ანუ ტექნიკის გამოყენებით სამუშაოთა წარმოება რელიეფიდან გამომდინარე შეუძლებელი გახდა, ამდენად დასახელებიდან ამოსაღები გახდა სიტყვა „ჯისიბი“.

წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 20

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 აპრილის Nგ-65.65221034 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

განკარგულება N გ-65.65223563

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულში ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურში რეორგანიზაციის გამოცხადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და მუნიციპალურის ქონების მართვის სამსახურში იქმნება ორი ახალი განყოფილება, რაზეც საჭიროა საკრებულოს თანხმობა.

წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 20

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულში ეკონომიკისა და მუნიციპალური

ქონების მართვის სამსახურში რეორგანიზაციის გამოცხადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

განკარგულება გ-65.6522356001

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, რუსთაველისა და თამარ მეფის ქუჩების კვეთაზე არსებული ერთი ერთეული გარე განათების ბოძის შპს „მაგთიკომი“- სთვის იჯარის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით, 2 წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ .

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შ.პ.ს „მაგთიკომი“ იჯარის ფორმით 2 წლის ვადით ითხოვს ერთი ერთეული გარე განათების ბოძის გადაცემას , რაზეც საჭიროა საკრებულოს თანხმობა.

წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 20

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, რუსთაველისა და თამარ მეფის ქუჩების კვეთაზე არსებული ერთი ერთეული გარე განათების ბოძის შპს „მაგთიკომი“- სთვის იჯარის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით, 2 წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ .

განკარგულება N გ-65.65223562

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე